კოვიდ-19,
საგანგებო ზომები და სამოქალაქო თავისუფლებები საქართველოში

2021

ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი

ფოტო ანგარიშის ყდაზე: ალეკო ცქიტიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

European Center for Not-for-Profit Law

წინამდებარე მოკლე მიმოხილვა მომზადდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ „არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის“ (ECNL) პროგრამა INSPIRE-ის მხარდაჭერით. დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICNL) მხარდაჭერით და USAID-ის დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ანალიტიკურ ბრიფში განხილულია 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მარტამდე პერიოდში Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებული მოვლენები საქართველოში, პანდემიის წინააღმდეგ მიღებული საგანგებო ზომები და შეზღუდვები და მათი ზეგავლენა სამოქალაქო თავისუფლებებზე.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ძალაში რჩებოდა კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობის მიერ დაწესებული მკაცრი შეზღუდვები, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან მოქმედებს საქართველოში:

- ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და საჯარო სივრცეში ყოფნის შეზღუდვა საღამოს 21:00 საათიდან დილის 05:00 საათამდე;
- დიდ ქალაქებში მუნიციპალური ტრანსპორტისა და რეგულარული საქალაქთაშორისო ტრანსპორტის აკრძალვა;
- კაფეებისა და რესტორნებისათვის სტუმრების მიღების აკრძალვა როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, გარდა გატანის, მიტანისა და „დრაივ“ სერვისებისა.
- კონფერენციების, ტრენინგების, კულტურული და გასართობი ღონისძიებების, სპორტული, სახელოვნებო და კულტურული აქტივობების აკრძალვა (ონლაინ ფორმატის გარდა).

Covid-19-ის წინააღმდეგ დადგენილი ზოგიერთი შეზღუდვა შემსუბუქდა ახალი წლისა და მართლმადიდებლური შობის დღესასწაულებთან დაკავშირებით. 24 დეკემბერი - 2 იანვრის პერიოდში აღდგა მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობა და დიდ ქალაქებში სავაჭრო ცენტრებს გარკვეული პირობებით მუშაობის უფლება მიეცათ. ახალი წლისა და მართლმადიდებული შობის ღამეს მოიხსნა კომენდანტის საათი და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა.

ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ

აღნიშნულ პერიოდში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ხელისუფლების დისკრიმინაციული მიდგომა რელიგიური ჯგუფების მიმართ, შობის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაადგილების ნებართვის მინიჭების კუთხით. 2021 წლის 6 იანვარს, მართლმადიდებლური შობის წინა დღეს, ხელისუფლებამ კომენდანტის საათი გააუქმა, რათა მართლმადიდებელ მრევლს შეუზღუდავად გადაადგილების საშუალება ჰქონოდა შობის დღესასწაულზე. თუმცა, მსგავსი ზომები არ მიღებულა რელიგიური უმცირესობების, კერძოდ, კათოლიკური და პროტესტანტული რელიგიური მიმდინარეობისათვის, მათ მიერ 25 დეკემბერს შობის დღესასწაულის აღსანიშნავად.

ვიცე-პრემიერის, მაია ცქიტიშვილის განცხადებით, შეზღუდვებთან დაკავშირებით შობის ღამეს გამონაკლისი დაიშვა, რადგანაც საზოგადოების უმეტესი ნაწილი მართლმადიდებელია[1]. მსგავსი დასაბუთება არ შეიძლება წარმოადგენდეს უთანასწორო მოპყრობის გამამართლებელ არგუმენტს. არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების განსხვავებული მოპყრობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს წარმოადგენს აუცილებელ და პროპორციულ ზომას ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი, რომელიც ახსნიდა 25 დეკემბერს გადაადგილების შეზღუდვის ძალაში დატოვების აუცილებლობასა და პროპორციულობას, საპირწონე და დაცული ლეგიტიმური ინტერესების ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე. მსგავსი არგუმენტი არ არსებობს. აღნიშნული შეზღუდვის ერთი დღით მოხსნა არ წარმოქმნიდა ვირუსის გავრცელების ისეთ რისკებს, რომ რელიგიური ჯგუფების განსხვავებული მოპყრობა გაამართლოს. შესაბამისად, მოცემული შემთხვევა სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ჯგუფების მიმართ

[1] საზოგადოებრივი მაუწყებელი, “მაია ცქიტიშვილი - ხელისუფლება ყველა კონფესიის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს”: https://1tv.ge/news/maia-cqitishvili-uzrunvelvyoft-yvela-konfesiis-warmomadgenelta-uflebebis-dacvas/

დისკრიმინაციულ მოპყრობად უნდა შეფასდეს.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და მისი ზეგავლენა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაზე

8 თებერვალს დიდ ქალაქებში მოიხსნა შეზღუდვა მუნიციპალურ ტრანსპორტზე. 25 თებერვალს აღდგა საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობა. აკრძალვების მოხსნისა და კოვიდ-19-ის გავრცელების დადებითობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი კლების მიუხედავად, კომენდანტის საათი და გადაადგილებაზე შეზღუდვა საღამოს 21:00 საათიდან დილის 05:00 საათამდე კვლავ ძალაშია მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმის გათვალისწინებით, რომ კორონავირუსის გავრცელების რისკი, უპირველეს ყოვლისა, დახურულ სივრცეში არსებობს და ამ მიმართულებით შეზღუდვები, ძირითადად, მოიხსნა, ღია სივრცეში გადაადგილებაზე შეზღუდვების ძალაში დატოვება ვერ პასუხობს გამოსადეგობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს. ე.წ. კომენდანტის საათი და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა მოქმედებს შესაბამისი ახსნა-განმარტებისა და გეგმის გარეშე, თუ რა ფაქტორები და გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძვლად აღნიშნული შეზღუდვების მოხსნას და იწვევს სამართლიან შეშფოთებას, რომ მათი ძალაში დატოვების რეალური მიზეზი საქართველოში მომძლავრებულ საპროტესტო მოძრაობებთან მათი საშუალებით გამკლავებაა.

ე.წ. კომენდანტის საათი და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა აბრკოლებს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციას. შეზღუდვების გაგრძელებისა და პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ფონზე, საქართველოში მოიმატა სამოქალაქო პროტესტმა. გახშირდა მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან საპროტესტო აქციები მწვავე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. საპროტესტო აქციებს მართავენ სამოქალაქო მოძრაობები, აქტივისტები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები პოლიტპატიმრების გათავისუფლების, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისა და მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების მოგვარების მოთხოვნით. საპროტესტო აქციები და მსვლელობები, რიგ შემთხვევებში, გრძელდება იმ საათებში, როდესაც გადაადგილება აკრძალულია (საღამოს 21:00 სათიდან დილის 05:00 საათამდე პერიოდში), რის გამოც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მომიტინგეებს აჯარიმებენ.

გადაადგილებასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევის გამო საპროტესტო აქციების მონაწილეთა დაჯარიმება მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებაში არამართლზომიერ ჩარევას წარმოადგენს. საქართველოს კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" უფლებამოსილებას ანიჭებს მთავრობას, კორონავირუსთან ბრძოლის მოტივით შეზღუდოს პირთა მხოლოდ ისეთი თავყრილობები, რომელიც სოციალური ღონისძიებების ჩატარებას უკავშირდება და არა საპროტესტო შინაარსის შეკრებები. საპროტესტო აქციები არ წარმოადგენს სოციალური ღონისძიების ჩატარების მიზნით გამართულ თავყრილობას. მსგავსი შეკრებები და მათში მონაწილე პირთა გადაადგილება დაცული უნდა იყოს შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით. სამწუხაროა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა (იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" უშვებს გადაადგილების თავისუფლების, და არა შეკრება-მანიფესტაციის უფლების შეზღუდვას. 2020 წლის ნოემბერში საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა ხელისუფლებას არ დაეჯარიმებინა საპროტესტო აქციის მონაწილეები გადაადგილებასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევის გამო[2].

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

2021 წლის 11 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" კანონის იმ ნორმების კონსტიტუციურობის

[2] სახალხო დამცველის სპეციალური განცხადება გამოხატვის თავისუფლებისა და საკარანტინო ზომების შესახებ:

https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-gantskhadeba-gamokhatvis-tavisuflebisa-da-sakarantine-ghonisdziebebis-mokmedebebis-taobaze

თაობაზე, რომელიც უფლებას აძლევს მთავრობას, საკარანტინო ზომების ფარგლებში, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შეზღუდვები დააწესოს პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით პირთა თავშეყრასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხებზე შეტანილი კონსტიტუციური სარჩელები ნაწილობრივ დააკმაყოფილა. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საქართველობას მთავრობას შრომითი უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილებას ანიჭებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, შრომის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება ორდინარული კანონის საფუძველზე არაკონსტიტუციურია, რადგანაც ეს საკითხი შესაძლებელია მოწესრიგდეს მხოლოდ ორგანული კანონით.

რაც შეეხება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" კანონის სხვა დებულებებს, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ისინი კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მსჯელობა ამ მხრივ ბუნდოვანია. მაგალითად, სასამართლომ შეაფასა საკითხი, თუ რამდენად მოხდა სადავო ნორმებით პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილების დელეგირება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დროებითი წესების დადგენა, მათ შორის, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან და სოციალური ღონისძიებების მიზნით პირთა თავშეყრასთან დაკავშირებით, არ განეკუთვნებოდა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხს, რომელზეც აუცილებელია პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება. სასამართლომ დაასკვნა, რომ დელეგირებული უფლებამოსილებით გათვალისწინებული ღონისძიებები მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი თუ პოლიტიკური განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე, რაც არ არის გამყარებული სათანადო არგუმენტებით.

აღნიშნულმა შეზღუდვებმა მრავალი ეკონომიკური საქმიანობა შეაჩერა. უმუშევარი დარჩა ათეულობით ათასი ადამიანი. პანდემიის გრძელვადიანი ეკონომიკური შედეგები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაანალიზებული. პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობაზეც. ათასობით მოქალაქეს დაეკისრა არაპროპორციულად მაღალი ჯარიმა კომენდანტის საათის დარღვევის გამო და მხილებული იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში[3]. ხელისუფლებამ მთელ ქვეყანაში დააწესა ე.წ. კომენდანტის საათი და შეზღუდა პირთა გადაადგილება საზოგადოებრივ სივრცეში, რაც აფერხებდა საპროტესტო აქციების სრულყოფილად ორგანიზებასა და გამართვას. შედეგად, შეიზღუდა სამოქალაქო პროტესტისა და მწვავე სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ფართო საზოგადოების მიერ უკმაყოფილების გამოხატვის სივრცე. ქვეყნის გრძელვადიანი პოლიტიკური განვითარება წარმოუდგენელია ჯანსაღი პოლიტიკური დისკუსიისა და ფართო საზოგადოების ამ პროცესში ჩართულობის გარეშე, რისი ერთ-ერთი მთავარი გარანტია მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის სრულფასოვანი რეალიზაცია. აღნიშნული შეზღუდვები ქვეყანაში ჯერ კიდევ მოქმედებს და უცნობია, თუ როდის, რა ფაქტორებისა და გარემოებების საფუძველზე დასრულდება. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" კანონის ახალი დებულებების შესაბამისად მიღებულმა ზომებმა გრძელვადიანი პერსპექტივით არ იმოქმედა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ განვითარებაზე, გაუგებარია.

სამოქალაქო თავისუფლებებთან დაკავშირებული სხვა მოვლენები

საანგარიშო პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა მდგომარეობა სამოქალაქო თავისუფლებების მხრივ. განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო მმართველი პარტიის ინიციატივა, შეეჩერებინა სახელმწიფო დაფინანსება იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებმაც ბოიკოტის გზით უარი თქვეს პარლამენტში შესვლაზე. ეს საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის თავისუფლებას.

2020 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ცვლილებები ორგანულ კანონში "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ". ცვლილებების თანახმად, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უარს იტყვიან საპარლამენტო მანდატებზე, ვერ მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსებას. მანამდე, პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსება

[3] ლანა გიორგიძე, სტატია - "გადაადგილების თავისუფლება - მიზანშეწონილი ღონისძიება თუ პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება": http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20325&lang=geo

დამოკიდებული იყო საარჩევნო ბარიერის დაძლევაზე და არა პარლამენტში შესვლასა და მანდატების ათვისებაზე. მმართველმა პარტიამ აღნიშნული ცვლილებების ინიცირება მოახდინა მას შემდეგ, რაც ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდობლობა გამოუცხადეს 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს და ბოიკოტი - ახალი მოწვევის პარლამენტს. პოლიტიკური პარტიების პროტესტის მიზეზს წარმოადგენდა საარჩევნო დარღვევები და საარჩევნო სისტემის ხარვეზები. მმართველი პარტიის წარმომადგენლები ღიად აცხადებდნენ, რომ კანონპროექტის ინიცირებას საფუძვლად ედო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უარი პარლამენტში შესვლაზე[4].

ბოიკოტის უფლება განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის თავისუფლებით დაცულ სფეროს. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა არ მოიცავს მხოლოდ საპარლამენტო მუშაობას[5]. აღნიშნული უფლებები გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტიები უნდა იყონ თავისუფალნი, თავად გადაწყვიტონ, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და აირჩიონ მოქმედების/საქმიანობის ის ფორმა, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე სათანადოდ წარმოადგენს მათი ამომრჩევლის წუხილებს და ხელს შეუწყობს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას, იქნება ეს ბოიკოტი თუ მშვიდობიანი პროტესტის სხვა ფორმა[6]. პოლიტიკური პარტიებისათვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის ინიცირება იმის გამო, რომ ისინი მშვიდობიანი ბოიკოტის გზით აპროტესტებენ მათთვის და მათი ამომრჩევლისთვის აქტუალურ პრობლემებს, ახშობს ამ საკითხების ირგვლივ შინაარსიანი დისკუსიისა და დიალოგის გამართვის სივრცეს, და უხეშად ხელყოფს პოლიტიკური პარტიების გამოხატვისა და საქმიანობის თავისუფლებას.

2021 წლის 20 მარტს, ვენეციის კომისიამ და ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE ODIHR) გამოაქვეყნეს შეფასებები აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით და საქართველოს პარლამენტს მისი გადახედვისკენ მოუწოდეს. ორგანიზაციების შეფასებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არჩეული დეპუტატების უმრავლესობა უარს იტყვის საპარლამენტო მანდატების ათვისებაზე, პოლიტიკური პარტიისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტა გადაჭარბებული და არათანაზომიერი ქმედებაა. ერთობლივ დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ პარტიებისთვის სანქციების დაკისრება, თუკი მათი წევრები საპარლამენტო სხდომების უმეტესობას არ ესწრებიან, „არაპროპორციული ქმედებაა და წინააღმდეგობაში მოდის პარლამენტის რეგლამენტთან“[7].

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კიდევ ერთი შემაშფოთებელი პრობლემა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სამოქალაქო თავისუფლებებს, გახლდათ ის, რომ პოლიციამ რამდენიმეჯერ უფლება არ მისცა აქტივისტებს და საპროტესტო აქციის მონაწილეებს, დაედგათ კარვები მიმდინარე აქციის ტერიტორიაზე. კარვები შესაძლოა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან საშუალებას მშვიდობიანი პროტესტის გამოსახატად. როდესაც დროებითი კონსტრუქციები, მათ შორის, კარვები, არ ბლოკავს სატრანსპორტო მოძრაობას და/ან შენობების შესასვლელს ან არ არის დაკავშირებული გარკვეულ უკანონო მოქმედებასთან, სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ უფლება, აუკრძალონ მომიტინგეებს კარვების გამოყენება, როგორც მშვიდობიანი პროტესტის ნაწილი. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოების წარმომადგენლებმა აღნიშნული პრინციპი უხეშად დაარღვიეს[8].

---

[4] http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentma-moqalaqeta-politikuri-gaertianebebis-shesaxeb-saqartvelos-organul-kanonshi-cvlilebas-pirveli-mosmenit-mxari-dauchira.page.htm

[5] საქართველოს რესპუბლიკური პარტიის განცხადება: https://netgazeti.ge/news/506885/

[6] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2008 წ., გვ. 62: https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373642069.pdf

[7] https://civil.ge/ka/archives/408330

[8] ადამიანის უფლებათა ცენტრი, "აკრძალული უფლება - დროებითი კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების სტანდარტები და პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემები", ავტორი: გიორგი ტყებუჩავა. რედაქტორები: გიორგი კაკუბავა, ალეკო ცქიტიშვილი. http://www.apsni.org/hrc/files/7PROHIBITED%20RIGHTS-geo..pdf?fbclid=IwAR3oRMgbJQiCn625QO0PiIBScGqCXfhVp-IBCCSEmvCILjC3cN60Uv3-dSI